განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

შპს - კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი (06)
სწავლების ენა	ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი გეგენავა სულხან-საბა ორბელიანის სასაწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ნაკაშიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30/40 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 2 სასწავლო წელს შეადგენს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 22 თებერვალს. ვიზიტი საინტერესოდ და საქმიანად წარიმართა, კავკასიის უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან მოწოდებულ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, უნივერსიტეტი იყო ღია თანამშრომლობისთვის, რის გამოც ვიზიტი ნაყოფიერად და წარმატებით დასრულდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის სამაგისტრო პროგრამა მეტწილად გამართული და შესაბამისია სტანდარტებთან. აუცილებელია რამდენიმე საგნის ამოღება პროგრამიდან, ასევე, სასწავლო კურსების შინაარსისა და წყაროების კორექტირება. პრობლემურია პროგრამაში ჩართული პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება.

- **რეკომენდაციები**

  - სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებულ უნდა იქნეს „პროფესიული უნარ-ჩვევებისა“ და „კანონშემოქმედების უნარ-ჩვევები“, ვინაიდან ისინი ბაკალავრიატის დონის საგნებია და ვერ გადიან სამაგისტრო პროგრამის შედეგებზე.
  - აუცილებელია დაზუსტდეს და დაწვრილებით გაიწეროს სტუდენტის, მისი მენტორის, პრაქტიკის დაწესებულების კონკრეტული მოვალეობები, ფუნქციები და შეფასების ფორმაში უნდა იქნეს მოცემული შეფასების ჩარჩო-კრიტერიუმების მახასიათებლები მაინც.
  - უნდა შეიცვალოს „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის“ სილაბუსის თემატიკა და შინაარსი, იგი უნდა გახდეს შედარებითსამართლებრივ ასპექტებზე ორიენტირებული და არ უნდა იმეორებდეს ბაკალავრიატის თემატიკას.
  - საგანს - „სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში“ - უნდა შეეცვალოს სახელწოდება და დაერქვას ამ საგნის სილაბუსში მითითებული შინაარსის შესაბამისად (მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში და მსგ.)
  - მაგისტრანტთა ხელმძღვანელობისთვის უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორები, რომლებიც ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას კონკრეტულ კვლევასთან მიმართებით. მათი პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მაგისტრანტის ხელმძღვანელობისთვის

საკმარისად. აუცილებელია თითოეულ მათგანს თანამედროვე კვლევებით უდასტურდებოს მაგისტრანტის კვლევის სფეროს მიმართ მიზეზობრივი კავშირი.

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები უნდა იკვლევდნენ, ჰქონდეს უახლესი კვლევები და ქმნიდნენ სამეცნიერო პროდუქციას, რათა ჯეროვანი ხელმძღვანელობა (რეცენზირება) გაუწიონ მაგისტრანტებს. ამ მიმართულებით აუცილებელია პერსონალის წახალისება და შესაბამისი პირობების შეთავაზება/დადგენა.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს აფილირების ერთიანი სტანდარტი, დაადგინოს აფილირების პირობები განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევის მიმართულებით.
- მიზანშეწონილია განხორციელდეს პერსნალის ავტობიოგრაფიების (CV) და პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის თარგმნა და გაახლება. კერძოდ, საჭიროა ისინი იყოს ქართულ ენაზე.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო იურიდიულ სამეცნიერო ბაზებთან (მაგ., Heinonline, Lexis-Nexis და ა.შ.) წვდომა.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ ხარისხის უზრუნველყოფის რეალური ციკლურობა აჩვენოს, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროცესის განვითარება-დახვეწა.
- რეკომენდებულია, გარე ხარისხის შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები.
- რეკომენდებულია, პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფს გაანალიზებული ჰქონდეს აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებული დასკვნა.
- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აისახოს ის ფაქტობრივი მდგომარეობა და პროცესი, რაც ინსტიტუციის მხრიდან სააკრედიტაციოდ დოკუმენტაციის მომზადების პროცესში რეალურად განხორცილდა.
- რეკომენდებულია, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად და რეალურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მინიმუმ მონიტორინგის პროცესში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - მიზაშეწონილია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი აღიჭურვოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ანუ სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან მიმოწერის ფუნქციით. ერთიანი ცენტრალიზებული საკომუნიკაციო სისტემა, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების, სატელეფონო და პირადი კონსულტაციებთან ერთად უკეთ უზრუნველყოფს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელებას.

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იზრუნოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაფართოებაზე, იმგვარად, პრაქტიკაში უკეთ განხორციელდეს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერა.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავდეს ავტობიოგრაფიების ერთიანის ფორმა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტში არსებული მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისები და მრავალი რგოლი სადაც სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია.
  - განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი ომბუდსმენის ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას, კონსულტირებას და მათი უფლებების ეფექტურ დაცვას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან, სტრატეგიასა და მიზნებთან. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები კავშირშია პროგრამების სწავლის შედეგებთან. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის სფეროში, სტუდენტს გამოუმუშავოს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი. პროგრამები ითვალისწინებს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს და სკოლის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ ბაზრის მოთხოვნების მნიშვნელობაზე. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ბაზრის კვლევა, საიდანაც დასტურდება, რომ კავკასიის სამართლის სკოლის სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა 93 % დასაქმებულია. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამის სრული ვერსია განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის სათანადო კონსულტაციებს ამ საკითხებზე. პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, პერსონალის და სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, გარე ექსპერტების მონაწილეობით. უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს განათლების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს და პროგრამაში ასახულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ უსდ-ს აქვს აქტიური კავშირები ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ უნივერსიტეტებთან. უსდ-ში მოქმედებს გაცვლითი პროგრამები, რომელზედაც წვდომა აქვთ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს. კავკასიის უნივერსიტეტი თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ამჟამად, 52 ქვეყნის 111-მდე პარტნიორს ითვლის. ერასმუს + საერთაშორისო მობილობის

პროექტების ფარგლებში 39 ევროპელ პარტნიორთან ახორციელებს გაცვლით პროგარმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ მემორანდუმები ○ ინტერვიუები ○ ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ორგანიზებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის გავლის შემთხვევაში. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს, საკუთარი არჩევანის მიხედვით, აქვს პროგრამით გათვალისწინებული ქვე-დარგთა სიღრმისეული, სისტემური ცოდნა და თანმხელები ზოგადი უნარ-ჩვევები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული გაიღრმავებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. სწავლის შედეგები არის რეალისტური და მიღწევადი. ამავდროულად, სწავლის შედეგი იძლევა როგორც სწავლის გაგრძელების, ასევე, დასაქმების შესაძლებლობას და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭიროა მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. საგნების შეფასების მექანიზმი შესაბამისობაშია პროგრამის შედეგებთან. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგები დაფუძნებულია პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე და პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ მემორანდუმები ○ ინტერვიუები ○ ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების საფუძველზე. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხდება

კონკურსის წესით. კონკურსი მოიცავს გასაუბრებას, ხოლო შიდა გრანტის მიღების მსურველთათვის, ასევე სპეციალობის გამოცდას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაწვრილებითაა მოცემული მაგისტრატურის დებულებაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზოგად სტანდარტს. სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების პროცედურა გამჭვირვალეა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ მაგისტრატურის დებულება ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30/40 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 2 სასწავლო წელს შეადგენს. სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს თეორიულ კომპონენტს არჩევითი სასწავლო კურსების სახით (64 კრედიტი), კვლევით კომპონენტს (40 კრედიტი) და პრაქტიკულ კომპონენტს - (16 კრედიტი). „პროფესიული უნარ-ჩვევების“ სავალდებულო კურსი არ შეესაბამება მაგისტრატურის დონეს, მასში მოცემული თემატიკა, შინაარსი ვერ გადის სამაგისტრო სწავლების შედეგებზე. ინტერვიუირებისას საგნის ხელმძღვანელთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საგანი, ლექტორის შეფასებითვე, სამართლის საბაკალავრო დონის შესატყვისია და უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრიატის ეტაპზე. ანალოგიური მდგომარეობაა „კანონშემოქმედების უნარ-ჩვევები“ დაკავშირებითაც, რომელიც სტუდენტს ბაკალავრიატისთვის დამახასიათებელ უნარებს გამოუმუშავებს და შინაარსობრივად არ შეესაბამება სამაგისტრო სწავლების დონეს. პრაქტიკის სილაბუსი ბუნდოვანი და აბსტრაქტულია, შეუძლებელია წინასწარ ივარაუდო და განსაზღვრო პრაქტიკის მიმდინარეობის დინამიკა, დატვირთვა, ამასთან, პრობლემურია მისი გავლის შედეგების შემოწმებისა და შეფასების მეთოდიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: ○ სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებულ უნდა იქნეს „პროფესიული უნარ-ჩვევებისა“ და „კანონშემოქმედების უნარ-ჩვევები“, ვინაიდან ისინი ბაკალავრიატის დონის საგნებია და ვერ გადიან სამაგისტრო პროგრამის შედეგებზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კერძო სამართლის მოდულის საგანი „თანამედროვე საკორპორაციო სამართალი“ თემათურად გარკვეული ხარვეზების მქონეა. სილაბუსის პირველი თემა მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიც სამეწარმეო საქმიანობის ზოგადი მიმოხილვაა. ბუნებრივია, საკითხი საინტერესოა, თუმცა ის სტუდენტს ბაკალავრიატის საფეხურზე საფუძვლიანად აქვს გავლილი და მისი ადგილი მაგისტრატურის დონეზე ისევე არ არის, როგორც ამავე სილაბუსის მეორე თემის საკითხი იურიდიული პირის სტატუსსა და იდეალური და კორპორაციული პირის ნიშნებზე. აქვე, გაუგებარია რას ნიშნავს კორპორაციული პირის ნიშანი, რამდენადაც არსებობს კორპორაციულად მოწყობილი სუბიექტი, მეწარმე სუბიექტი და არა კორპორაციული პირი. ასეთი ტერმინი არ არსებობს სისტემაში. ასევე, გაუგებარია სილაბუსის მესამე თემა, რომელიც კომერციული იურიდიული პირის ცნებას, საწარმოს სამართლებრივ ფორმებს, საწარმოს დაფუძნებასა და შენატანს ეხება. ეს საკითხები მაგისტრატურის დონეზე მხოლოდ შედარებით სამართლებრივ კონტექსტში თუ იქნება განხილული და არა საფუძვლების. სილაბუსის მეექვსე თემა ანალოგიურად ეხება შპს-ის დაფუძნებას, ხელომძღვანელობასა და წარმომადგენლობას. ბუნდოვანია მაგისტრატურის დონეზე

ხსენებული საკითხის სწავლება, რომელიც სტუდენტს უკვე საბაკალავრო დონეზე უნდა ჰქონდეს დამუშავებული. ანალოგიური მდგომარეობაა სს-ის შემთხვევაში: სს-ის დაფუძნება არაა კავშირში მაგისტრატურის დონეზე ცოდნის გაღრმავებასთან - ის ცოდნის პირველადი შეძენის დროს ასათვისებელ მასალას (საკითხს) განეკუთვნება. მეათე თემა ეხება სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს. ეს საკითხები ბაკალავრიატზე ცოდნა/გაცნობიერების ეტაპზე სტუდენტს გავლილი აქვს, რისი ხელახლა განხილვა მიზანშეუწონელია მაგისტრატურის საფეხურზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსის მეათე და მეთერთმეტე თემები იდენტურია, რაც კიდევ ერთ ბუნდოვან გაუგებრობას ქმნის.

„სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში“ - ამ სასწავლო კურსის სახელწოდება და შინაარსი არ შეესატყვისება ერთმანეთს. საკონსტიტუციო სამართალწარმოება ბაკალავრიატის დონის საგანია, თუმცა ის შინაარსი, რომელიც მოცემულია სილაბუსში მაგისტრატურის დონეს შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმართულებით. აუცილებელია საგანს გადაერქვას სახელი და ჩამოყალიბდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად, როგორც მისი შინაარსია ჩამოყალიბებული.

სილაბუსთა უმრავლესობაში მოცემულია მოძველებული გამოცემები, განსაკუთრებით ყურადღება გასამახვილებელია ინგლისურენოვან წიგნებზე, რომელთა სილაბუსებში მითითებული ვერსიების შემდეგ რამდენიმე გამოცემაა გამოქვეყნებული. აუცილებელია სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია უახლესი ლიტერატურიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- უნდა შეიცვალოს „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის“ სილაბუსის თემატიკა და შინაარსი, იგი უნდა გახდეს შედარებითსამართლებრივ ასპექტებზე ორიენტირებული და არ უნდა იმეორებდეს ბაკალავრიატის თემატიკას.
- საგანს - „სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში“ - უნდა შეეცვალოს სახელწოდება და დაერქვას ამ საგნის სილაბუსში მითითებული შინაარსის შესაბამისად (მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში და მსგ.)
- აუცილებელია დაზუსტდეს და დაწვრილებით გაიწეროს სტუდენტის, მისი მენტორის, პრაქტიკის დაწესებულების კონკრეტული მოვალეობები, ფუნქციები და შეფასების ფორმაში უნდა იქნეს მოცემული შეფასების ჩარჩო-კრიტერიუმების მახასიათებლები მაინც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სილაბუსებში უნდა მიეთითოს ყველაზე თანამედროვე და აქტუალური სახელმძღვანელოები, გამოცემები და ნაშრომები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს პრქტიკულ და კვლევით კომპონენტებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი გაიაროს და დააგროვოს შესაბამისი კრედიტები პარტნიორ დაწესებულებაში ან ადგილობრივ კლინიკაში. ის სტუდენტები, რომლებიც უკვე დასაქმებულნი არიან პროფესიით ვალდებულნი არიან პრაქტიკული კომპონენტის ნაცვლად დარეგისტრირდნენ საგანზე: პროფესიული თარგმანი: თეორია და პრაქტიკა. ვიზიტისას ინტერვიუებიდან გამოიკვეთა და ასევე შესაბამისი დოკუმენტებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას და იღებენ შესაბამის კრედიტებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია კარგად აღჭურვილი ადგილობრივი კლინიკა, სადაც სტუდენტებს პრქტიკული კომპონენტის შესრულების კარგი საშუალება

გააჩნიათ. სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დამსაქმებლებთან თანამშრომლობას (პრაქტიკები, სტაჟირება, შეხვედრები, კონსულტაციები და ა.შ.) პრაქტიკული კომპონენტის შესრულების მიზნით და სტუდენტები დადებითად აფასებენ უნივერსიტეტის საქმიანობას ამ მიმართულებით. სტუდენეტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს და ასევე გამოკითხვის შდეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერას (კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და ა. შ. მონაწილეობა). პროფესორ მასწავლებლები ხელმძღვანელობენ სტუდენტებსსამეცნიერო კონფერენციებზე, თუმცა ხშირად არის ბევრი მსურველი დაპროფესორს უხდება სტუდენტების შერჩევა თემატიკის და სტუდენტის მომზადების დონის შესაბამისად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი სამართლის მიმართულებით სამეცნიერო ჟურნალს არ გამოსცემს და სტუდენტები ნაშრომებს აქვეყნებენ საერთო საუნივერსიტეტო შრომების კრებულში რომელსაც უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოსცემს. ასევე რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების შეთავაზე ჰქონდა ჟურნალში, რომელსაც კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორი, ტალინის უნივერსიტეტი გამოსცემს. ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალის მიერ იწყება პრეცედენტული სამართლის კვლევის პროექტი, სადაც მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ჩართულ სტუდენტებს, რაც მათ კვლევითი უნარების განვითარების საშუალებას მისცემს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების მიხედვით სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: წიგნზე მუშაობის მეთოდი; ვერბალური – ზეპირსიტყვიერი მეთოდი; პრეზენტირებისა და დემონსტრირების მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატების წარმოების მეთოდი; ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; როლური და სიტუაციური თამაშები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ახსნა-განმარტებითი მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study), იგივე თვალსაჩინო მაგალითის განხილვით სწავლება; გონებრივი იერიში (Brain storming); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლა; საექსპერტო კვლევის მეთოდი; გონებრივი განტოტვა; გამოცდილებითი სწავლების მეთოდი; თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი; რაპორტის შედგენა.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში არის ასახული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსების ანალიზის შედეგად, ჩანს რომ პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის განსაზღვრული სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და პირობები რაც შეესაბამება საქართველოს განათლების შესახებ კანონმდებლობას. სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება: (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91.00–100.00%. პროცენტები ზოგად სქემაში, რომელიც 100 ქულიან სისტემას ემყარება უადგილოა -პირდაპირ ქულათა რაოდენა შეიძლება ჩაიწეროს და პირიქით რელევანტურია თუ მაგ. 25 ქულიანი გამოცდის მინიმალური კომპეტნციის წილია განსასაზღვრი, რომელიც მთელი რიცხვი შეიძლება არ გამოდგეს (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81.00 – 90.00%. (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71.00 – 80.00%. (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61.00 – 70.00%.

(E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51.00 – 60.00%.
უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41.00 – 50.00%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40.00% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.სილაბუსებში ახსნილი და განმარტებულია შეფასების თითოეული კომპონენტის (მონაწილეობა, ზეპირი გამოკითხვა, შუალედური და საბოლოო გამოცდა, წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია,კაზუსის ამოხსნა და სხვა) შფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.

სკოლას მაგისტრატურის დებულების საფუძველზე განსაზღვრული აქვს სამართლის კლინიკის შეფასების სისტემა სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით კრიტერიუმის მიხედვით, რაც მოიცავს: გამოცხადებას, აქტივობას, სასწავლო კომპონენტში ჩართულობას, კანონმდებლობის ანალიზს, იურიდიული დოკუმენტების შედგენას, მოქალაქეებთან ურთიერთობა, კონსულტაციას, რეალურ საქმეთა გაცნობას და ანალიზს, შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ხარისხს.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულაციური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი კატეგორიის სახელმწიფო ნიმუშის დიპლომს: წარჩინების დიპლომი - GPA 3.8 ზე მეტი კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- მაგისტრატურის დებულება
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის მიერ სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, და კარიერულ

განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით.

სტუდენტთა კონსულტირებისა და აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების პროცესში ჩართულია კავკასიის უნივერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი.

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, სკოლის დეკანატისგან, სასწავლო პროცესის მართვის და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურისაგან, ხარისხის მართვის დეპარტამენტისაგან და უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან.

აღსანიშნავია აგრეთვე კავკასიის უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელშიც სტუდენტს აქვს პირადი გვერდი. ამ გზით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაცია. პირად გვერდზე სტუდენტი ეცნობა სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს, სასწავლო კურსზის ხელმძღვანელების საკონტაქტო ინფორმაციას და სხვ.

„კავკასიის უნივერსიტეტის დებულების“ თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გულისხმიერად მოექცეს სტუდენტის პრობლემებს, დაეხმაროს მას შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში, გამოყოს დრო და ადგილი სტუდენტებთან კონსულტაციებისათვის საგნის შესწავლასთან, კვლევითი სამუშაოს ჩატარებასთან ან პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან, სილაბუსში მითითებულ სპეციალურად გამოყოფილ დროს. გარდა ამისა, პერსონალი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს კონსულტაციას

უწევს ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით. აღნიშნული მეთოდები სტუდენტებთან კომუნიკაციის ძირითადი საშუალებებია.

ამასთან კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს არაერთი სპეციალური სტრუქტურული ერთეულიც.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს მათთვის მოსახერხებელ დროს შესაძლებლობა აქვთ საჭირო ინფორმაცია მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელზეც რეაგირებას ახდენს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა რგოლებიც. „კავკასიის სამართლის სკოლის დებულების“ თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალთან სტუდენტები სინდივიდუალური კონსულტაციების პროცესს და არასააუდიტორიო აქტივობებს.

ამავე დებულებით კავკასიის უნივერსიტეტში თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტუდენტთა მომსახურების მენეჯერი.

კავკასიის უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტების მომსახურების და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს სტუდენტების სემესტრული რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმების პროცესში სტუდენტების დახმარებას და კომპეტენციის ფარგლებში კონსულტირებას.

უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის თაობაზე, სტუდენტთა უფლებების დაცვისა და მათი ვალებულებების თაობაზე, სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ კონსულტირების და დახმარების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ომბუდსმნის ოფისი.

ამგვარად უნივიერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით კომუნიკაციის ძირითად საშუალებად გამოიყენება ელ-ფოსტა, სოციალური ქსელები, სატალეფონო და პირადი კონსულტაციები. თუმცაღა, ადმინისტრაციის განმარტებით, კავკასიის უნივერსიტეტში არსებული სპეციალური ელექტრონული პორტალი, კერძოდ სტუდენტის პირადი გვერდი არ იძლევა საშუალებას განორციელდეს კომუნიკაცია საგნის პედაგოგებთან. სუდენტთა ელექტორნული პორტალის ამ ფუნქციით აღჭურვა მეტ სისტემურობას შესძენდა სტუდენტთა კონსულტაციის პროცესს.

აღსანიშნავია ასევე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერულ განვითარების მხარდაჭერის საკითხში.

„კავკასიის უნივერსიტეტის დებულების“ შესაბამისად, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამხმარე სტრუქტურული ქვედანაყოფია კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახური. აღნიშნული სამსხახური შექმნილია, უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარებისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

„კავკსიის უნივერსიტეტის დებულების“ 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახური:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებას და მათ დასაქმებას;

ბ) უზრუნველყოფს დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების (რეზიუმეს მომზადება, ინტერვიუში მონაწილეობა) განვითარებასთან დაკავშირებულ სემინარების ორგანიზებას;

გ) გეგმავს და ახორციელებს წამყვანი ორგანიზაციების და უწყებების ვიზიტს უნივერსიტეტში მოწვეული სტუმრის სახით მასტერ-კლასების ჩატარების მიზნით;

დ) ხელს უწყობს უნივერსიტეტში სხვადასხვა კომპანიებს მიერ უნივერსიტეტში პროექტების განხორციელებას. სტაჟირება, სტიპენდია და სხვა წამახალისებელი პროექტების შემუშავებას.

ე) უზრუნველყოფს დასაქმების ფორუმების მოწყობას და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მოწყობილ დასაქმების ფორუმებში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ინფორმირებას და მათი მონაწილეობს ხელშეწყობას;

ვ) უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო წამყვან კომპანიებთან თანამშრომლობის გაღრმავებას და მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას;

ზ) ეხმარება სკოლებს მისი პროფილის მქონე ორგანიზაციებთან დაკავშირებაში სტუდენტების პრაქტიკაზე განაწილებისა და დასაქმების მიზნით;

თ) დამსაქმებლების მოთხოვნის საფუძველზე, სკოლის დეკანატისგან მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით გასცემს რეკომენდაციებს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებზე;

ი) ახდენს დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ვაკანსიების მიწოდებას სამიზნე ჯუფებთან და მათი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას;

კ) ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზემოაღნიშნული სამსახური პრაქტიკაში ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ახორციელებს შრომის ბაზრის კვლევასაც.

ინტერვიურების დროს, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიების შესახებ.

ინტერვიურების შედეგად გამოირკვა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიც ჩართულია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერულ განვითარებაში. პერსონალის ჩართულობა გამოიხატება სტუდენტთა ჩართვაში

სტაჟირების პროექტებში, რეკომენდაციის გაწევაში დასაქმებისა თუ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის. პერსონალი აგრეთვე უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას ადგილობირვ თუ საერთაშორისო პროექტებში, საგრანტო პროექტებში და კონკურსებში. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელიც მოიცავს თანამშორმლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სტუდენტთა სტაჟირების, პრაქტიკის და დასაქმების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრება კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ რამოდენიმე დამსაქმებელთან. ინტერვიუს ესწრებოდნენ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენელი მანანა გოგიაშვილი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი მაია გუდაძე და საერთაშორისო გაჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელი მაია მამნიაშვილი. გასაუბრებაზე დამსწრე დასმსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მათი თანამშრომლობა უნივერსიტეტთან აქტიურია და სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ სტაჟირების პროექტებში. თუმცა, ზემოაღნიშნულიდან ვერცერთმა დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა სტუდენტთა დასაქმების შემთხვევები. შესაბამისად, რეკომენდებულიაა გაიზარდოს უნივერსიტეტის პარტნიორები და მათი ჩართულობა სტუდენტთა დასაქმებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2018 წლის 27 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული „კავკასიის სამართლის სკოლის დებულება“; ○ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 21 თებერვლის #01/01-03 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“; ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამა; ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ბაზრის კვლევის დამდასტურებელი დოკუმენტი, 2018 წელი; ○ მემორანდუმები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები; ○ ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზაშეწონილია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი აღიჭურვოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ანუ სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან მიმოწერის ფუნქციით. ერთიანი ცენტრალიზებული საკომუნიკაციო სისტემა, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების, სატელეფონო და პირადი კონსულტაციებთან ერთად უკეთ უზრუნველყოფს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელებას. ○ მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იზრუნოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან

პარტნიორობის გაფართოებაზე, იმგვარად, პრაქტიკაში უკეთ განხორციელდეს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭრა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტში არსებული მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისები და მრავალი რგოლი სადაც სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია. ○ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი ომბუდსმენის ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას, კონსულტირებას და მათი უფლებების ეფექტურ დაცვას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალვალიფიციური კადრებით, რომელთა პროფესიონალიზმიც დასტურდება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მიღებული განათლებით. აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხშირად ხელმძღვანელობს სტუდენტებს კვლევებსა თუ სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში. უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის კვალიფკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით. მოწვეული პერსონალიც ხელმძღვანელობს სტუდენტებს სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებსა და კვლევებში.

თუმცაღა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის კვლევისას გამოიკვეთა რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაწილი მხოლოდ უცხოურ (ინგლისურ) ენაზეა წარმოდგენილი. მაგალითსიათვი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელის - მამუკა ანდღულაძის და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლების ნათია კახეთელიძისა, ირაკლი კლდიაშვილის, არჩილ ჩოჩიას პირად საქმეებში წარმოდგენილი ავტობიოგრაფიები (CV) მხოლოდ ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი. მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას ხარისხის კონტროლის გარე მექანიზმის წარმოების ენა და რეზიუმეები და სხვა დოკუმენტები უნივერსიტეტში ინახებოდეს სახელმწიფო ენაზე.

მნიშნელოვანია ისიც, რომ უნივერსიტეტის პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლები ნაკლებად აქტიურები არიან სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ავტობიოგრაფიებითა და სპეციალური, სამეცნიერო კვლევების შესახებ დოკუმენტით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილს 2013 წლის შემდეგ არ განუხორციელებია სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები

აკადემიური პერსონალი უნდა იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა საჭიროების შემთხვევაში მან უფრო სრულყოფილად შეძლოს ხელმძღვანელობა გაუწიოს სტუდენტს არამხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვაში, ასევე სხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში.

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მოქმედებს მაგისტრატურის დებულება, რომლითაც დარეგულირებულია სამაგისტრო ნაშორმის შერჩევის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის წესები. მაგისტრანტისათვის ხელმძღვანელის დამტკიცება ხორციელდება, მაგისტრატურის დებულების მე-17 მუხლის შესაბამისად.

კავკასიის უნივერსიტეტში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურისა სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მაგისტრატურის დებულება ○ სამაგისტრო პროგრამა ○ პერსონალის სივები ○ ინტერვიუირების შედეგები ○ სამაგისტრო ნაშრომები ○ დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით
რეკომენდაციები: ○ მაგისტრანტთა ხელმძღვანელობისთვის უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორები, რომლებიც ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას კონკრეტულ კვლევასთან მიმართებით. მათი პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მაგისტრანტის ხელმძღვანელობისთვის საკმარისად. აუცილებელია თითოეულ მათგანს თანამედროვე კვლევებით უდასტურდებოს მაგისტრანტის კვლევის სფეროს მიმართ მიზეზობრივი კავშირი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართულები არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ, რაც მოსაწონი და მისასალმებელია, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო საშუალებას იძლევა, რაც შეეხება პროგრამაში ჩართული პროფესორების, როგორც უშუალოდ აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული ლექტორების, რომლებიც მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ, სამეცნიერო საქმიანობას, იგი არაა დამაკმაყოფილებელი. პროფესორთა და ლექტორთა ნაწილს საერთოდ არ უკვლევია ბოლო ხუთი ან მეტი წლის განმავლობაში (ზოგიერთს 10 და 17 წლის განმავლობაშიც კი), რაც მაგისტრატურის მიზნების მისაღწევად ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან პროფესორი ხელმძღვანელობს მაგისტრანტს კვლევის მიმართულებით ან არის რეცენზენტი და აფასებს სამაგისტრო ნაშრომს. აქედან გამომდინარე, იგი უნდა ფლობდეს სათანადო უნარებს, ჰქონდეს თანამედროვე ცოდნა და რაც მთავარია, უნდა ჰქმნიდეს თანამედროვე სამართლებრივ აკადემიურ პროდუქციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონალის მიერ წარმოდგენილი ავტობიოგრაფიები (CV) რადიკალურად განსვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივრსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმის რეზიუმეები დაეხმარება კავკასიის უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ პროგრამას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სრულიად საკმარისია და ფარავს სამაგისტრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტს ჰყავს აფილირებული პროფესორები, თუმცა არ გააჩნია აფილირების ერთიანი ხედვა, სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავების პროცესშია და არაა დამტკიცებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: • პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები უნდა იკვლევდნენ, ჰქონდეს უახლესი კვლევები და ქმნიდნენ სამეცნიერო პროდუქციას, რათა ჯეროვანი ხელმძღვანელობა (რეცენზირება) გაუწიონ მაგისტრანტებს. ამ მიმართულებით აუცილებელია პერსონალის წახალისება და შესაბამისი პირობების შეთავაზება/დადგენა. • უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს აფილირების ერთიანი სტანდარტი, დაადგინოს აფილირების პირობები განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევის მიმართულებით. • მიზანშეწონილია განხორციელდეს პერსნალის ავტობიოგრაფიების (CV) და პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის თარგმნა და გაახლება. კერძოდ, საჭიროა ისინი იყოს ქართულ ენაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავდეს ავტობიოგრაფიების ერთიანის ფორმა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, სთავაზობს გაცვლით პროგრამებს, როგორც ERASMUS +-ის ფარგლებში, ისე ცდილობს წაახალისოს მათი პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება პლაგიატთან დაკავშირებით. აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, ასევე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, დაინტერესების შემთხვევაში, ლექტორების მონაწილეობას საზღვარგარეთ სამეცნიერო და აკადემიურ ღონისძიებებში. მისასალმებელია უნივერისტეტის მიერ შიდა კვლევითი გრანტების სისტემის დანერგვა, რომლითაც დაწესებულება წაახალისებს თავის აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს, იკვლიონ, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნამდვილად შთამბეჭდავია, აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, რეკრეაციული სივრცე, იმიტირებული პროცესების დარბაზი და ა.შ. აკმაყოფილებს ყველაზე თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ძალზე კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის, რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია ელექტრონულად მათი მოძებნა. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია არასტანდარტულად, არათემატურად და დალაგებულია მათი უნივერსიტეტში მიღების მიხედვით და არა უნივერსალური აღრიცხვის კოდის (UDC-უაკ) მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მკვლევრის, დოქტორანტის მიერ სასურველი ლიტერატურისა თუ მასალი მოძიებას უშუალოდ წიგნად ფონდში.

2009 წლიდან დღემდე, 10 წლის განმავლობაში არ იყო უზრუნველყოფილი და არც ახლაა ექსკლუზიურად იურიდიული ელექტრონული ბაზები, რომელთა საშუალებითაც დოქტორანტები შეძლებდნენ მასალების მოძიებას, უცხოენოვან ლიტერატურაზე ექნებოდათ წვდომა. ვიზიტის მსვლელობისას წარმოდგენილ იქნა მემორანდუმი რომლითაც ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ და შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ ითანამშრომლებენ და ერთმანეთის ელექტორნულ-მატერიალურ რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფენ. აღნიშნულის ფარგლებში ივარაუდება Heinonline.org - ბაზაზე წვდომაც, თუმცა კონკრეტულად ამის თაობაზე მემორანდუმში აღნიშნული არაა, ასევე, დოკუმენტში არაა მოცემული სამეცნიერო ბაზის დეტალები, გამოყენების პირობები, მომხმარებლის ანგარიშთა რაოდენობები და.შ. ვიზიტის განხორციელებისას აღნიშნული ბაზებით სარგებლობა უზრუნველყოფილი არ იყო. ამასთან, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე სხვა უნივერსიტეტის მიერ წვდომის უზრუნველყოფა და მისი გაზიარება ვერ იქნება სადოქტორო პროგრამის სტუდენტისთვის კვლევის რაციონალურად და ჯეროვნად შესრულების წინაპირობა.

უნივერსიტეტი ნერგავს ანტიპლაგიატის სისტემა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რაც მისასალმებელია და წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ მიმართულებით რამდენიმე პროფესორი გადამზადდა და მიწეოდათ ინფორმაცია Turnitin – ის ბაზის გამოყენების თაობაზე. სამწუხაროდ, ანტიპლაგიატის ელექტრონული მექანიზმებით დოქტორანტურის 10 წლიანი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტი აქტიურად არ სარგებლობდა, რაზეც დაცული თემატური სასემინარო ნაშრომების ხარისხი მიუთითებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე
- შპს „კავკასიის უნივერსიტეტსა“ და ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს“ შორის 2019 წლის 14 იანვარს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
- შპს „კავკასიის უნივერსიტეტისა“ და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის შეთანხმება 2017-2961/001-001

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო იურიდიულ სამეცნიერო ბაზებთან (მაგ., Heinonline, Lexis-Nexis და ა.შ.) წვდომა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგდეს და განთავსდეს უნივერსალური აღრიცხვის კოდების (UDC) მიხედვით, რათა დოქტორანტებს გაუმარტივდეთ

წიგნების მოძიება თემატურად უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტის დოტაციაზე ყოფნა. ხანგრძლივი არსებობის ისტორია და მდგრადობა, უზრუნველყოფს პროგრამისთვის შემოსულობების სტაბილურობას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ვიზიტის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. 1. თვითშეფასების ანგარიშში განმარტებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ზოგადი პარადიგმა მატ შორის „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლი, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, ბუნდოვანია რატომ ენიჭება უპირატესობა აღნიშნული ციკლის იმ ნაწილს, რომელიც შემოწმებას ეხება, რამდენდაც ოთხდონოვანი წრიული ციკლურობა ლოგიკური ეტაპებით არის დაკავშირებული და ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია სწორი პროცესის უზრუნველსაყოფად. 2. ხარისხის უზრუნველყოფა სამართლის სკოლის დონეზე უპირატესად კონცენტრირებულია მენეჯერების დონეზე, რომლის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი. იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლის ბოლოს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის მომენტიდან მიმდინარე სააკრედიტაციო ვიზიტის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ორჯერ შეიცვალა და იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის ბოლოსათვის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ახალი დანიშნული იყო, პროცესის სწორ ფუნქციონირებას დადებით კონტექსტს არ სძენს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების პროცესში მონაწილე ძირითადი პერსონალის წარმოდგენა ინტერვიუირებისას ვერ მოხერხდა, რადგან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მსგავსად, საქვეუწყებო სამსახურის თანამშრომლებთა ძირითადი ნაწილი ასევე განახლებულია. შესაბამისად, ინტერვიურს დროს შეუძლებელი აღმოჩნდა იმ პირებთან უშუალოდ გასაუბრება (ერთი გამონაკლისის გარდა), რომლებიც სააკრედიტაციო დოკუმენტაციის მომზადებაში ხარისხის სამსახურის მხრიდან იყვნენ ჩართულნი. შესაბამისად, რთულია იმის დადასტურება, რომ თუ რამდენად ხდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შემავალი პირების პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობა. ბუნებრივია, აღნიშნული არ და ვერ შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს. 3. პროგრამის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი ითვალისწინებს აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას, თუმცა, ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ძალიან სუსტად არის ინტეგრირებული.

აღშანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით გამოკითხვები ჩატარებულია, თუმცა მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტის მოძიება თანდართულ დოკუმენტებში ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში. • ინტერვიუირება. • ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, კერძოდ, გამოკითხვები და შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ ხარისხის უზრუნველყოფის რეალური ციკლურობა აჩვენოს, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროცესის განვითარება-დახვეწა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების კუთხით მნიშვნელოვანია 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგები და მისი ადაბტაცია პროგრამის განვითარების მხრივ. როგორც თვითშეფასებიდან იკვეთება, განმავითარებელი გარე შეფასების შედეგების ნაწილი ასახულ იქნა პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში, ხოლო გარკვეული ნაწილების ასახვა იგეგმება სამომავლოდ. სასურველია, გარე ხარისხის შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფის ინტერვიუზე წარმოდგენილ წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებულ დასკვნას არ იცნობდნენ.

საინტერესოა გარე ხარისხის შეფასების დროს საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის პროცესი, რომელიც თვითშეფასებაში ნახსენებია, თუმცა ინტერვიუირებითა და თვითშეფასებას თანდართული დოკუმენტებით ის არ დასტურდება. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება განმავითარებელი ვიზიტის ეტაპი, რომელშიც ცენტრის მხრიდან იყვნენ ჩართულნი უცხოელი ექსპერტები.

დაბოლოს, მნიშვნელოვანი იქნებოდა და უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი გარე ხარისხის შეფასების ის შედეგები, რომელიც 2014 წლის აკრედიტაციის პროცესის დასრულების შედეგად დაიდო, რადგან ის, ქართული რეალობისათვის, გარე ხარისხის კონტროლის უმთავრესი პროგრამული მექანიზმია. შედეგად, უკეთესად გამოჩნდებოდა პროცესი განვითარების ჭრილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუირება
- პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფის ოქმები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გარე ხარისხის შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები.
- რეკომენდებულია, პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფს გაანალიზებული ჰქონდეს აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის

შედეგად დადებული დასკვნა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ დარგის განვითარების , შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამა განიცდის ცვლილებას. თვითშეფასების ანგარიშს შრომის ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი ერთვის თან. შრომის ბაზრისა და განათლების ბაზრის კვლევა მნიშვნელოვანი გარემოებაა პროგრამის პერსპექტივების განსაზღვრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგი თან ერთვის გამოგზავნილ დოკუმენტაციას, დამსაქმებლებთან ინტერვიუირებისას მათი მხრიდან არ გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების, მონიტორინგისა თუ განვითარების პროცესში ჩართულობა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოწვეული ლექტორები ნაკლებად არიან ან არ არიან ჩართულნი პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში. ანალოგიური მდგომარეობაა

კურსდამთავრებულებთან მიმართებით, რომლებსაც კურსდამთავრებულთა კითხვარის შესახებ არ ჰქონდათ ინფორმაცია. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუირების შედეგად პროგრამის მონიტორინგის კუთხით თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც, მაგალითად, მოცემული სამიზნე ნიშნულები, თუმცა, მხოლოდ სამიზნე ნიშნული მისი გამოთვლის ათვლის წერტილის გარეშე ისევე არაფრის მთქმელია, როგორც ცალკე აღებული ციფრი თუ რიცხვი. სასურველია, სამიზნე ნიშნულის აღება გარკვეულ წინარე კვლევას დაეფუძნოს, რაც შექმნის მყარ საფუძველს დასახული მიზნის მიღწევისა და მიღწეული შედეგის კონტროლისათვის. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება სემესტრულად, რომლის შედეგებსაც სამართლის სკოლა განიხილავს. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დადარება ხდება უცხოურ პროგრამებთან, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას. თუმცა, არც თვითშეფასების ანგარისის მტკიცებულებებში და არც ინტერვიუირებისას აღნიშნული პროცესის ნამდვილობა ვერ დადასტურდა განხორციელებული ანალიზის შედეგების წარმოუდგენლობის გამო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუირება
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აისახოს ის ფაქტობრივი მდგომარეობა და პროცესი, რაც ინსტიტუციის მხრიდან სააკრედიტაციოდ დოკუმენტაციის მომზადების პროცესში რეალურად განხორციელდა. • რეკომენდებულია, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად და რეალურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მინიმუმ მონიტორინგის პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

დიმიტრი გეგენავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი მახარობლიშვილი

მალხაზ ნაკაშიძე

ილია წიკლაური